

კინგის მათემატიკის ოლიმპიადა 2020 / I ტური

მე-7 კლასი

1. რამდენი ამონახსნი აქვს ნატურალურ რიცხვებში უტოლობას  $218 < x \leq 256$ ?  
A. 37 B. 40 C. 38
2. 810-ის  $\frac{4}{15}$  არის: A. 54 B. 162 C. 216
3. რიცხვი 12-ზე გაყოფისას ნაშთს გვამღვეს 5-ს. რა ნაშთს მოგვცემს იგივე რიცხვი 3-ზე გაყოფისას?  
A. 5-ს B. 2-ს C. 0-ს, ანუ გაიყოფა
4. მოცემულია რიცხვები: 33; 15; 21; 46; 63; 14 . რას უდრის მოცემული რიცხვების საშუალო?  
A. 32 B. 21 C. 27
5. მართკუთხედი, რომლის გვერდებია 8სმ და 12სმ გაჭრეს ორ ტოლ მართკუთხედად. რისი ტოლი შეიძლება იყოს მიღებული პატარა მართკუთხედის პერიმეტრი?  
A. 32 B. 26 C. 30
6. ქვემოთ მოცემული რიცხვებიდან რომელს აქვს ყველაზე მეტი განსხვავებული მარტივი გამყოფი?  
A. 128 B. 288 C. 210
7. რას უდრის საათის და წუთების მაჩვენებელ ისრებს შორის კუთხე 4სთ-ზე?  
A.  $120^\circ$  B.  $135^\circ$  C.  $150^\circ$
8. ტოლგვერდა სამკუთხედის პერიმეტრი 36სმ-ის ტოლია. იპოვეთ კვადრატის ფართობი, რომლის გვერდი მოცემული სამკუთხედის გვერდის ტოლია.  
A. 48 B. 144 C. 36
9. ლაშას ხელფასი 25%-ით გაეზარდა, ნახევარ წელიწადში კი კიდევ 25%-ით გაეზარდა. რამდენი პროცენტით გაეზარდა ხელფასი თავდაპირველთან შედარებით?  
A. 125% B. 50.75% C. 56.25%
10. გამოთვალეთ:  $99 \cdot (59 - 29) + (14 + 17 - 1) \cdot 101$   
A. 2970 B. 6000 C. 3030

ბონუს დავალებები

*ტესტის მაქსიმალური ქულაა 100. ბონუს დავალებების ქულა ძირითადი დავალებების ქულას დაემატება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ძირითად ნაწილში ვერ დააგროვებს უმაღლეს ქულას.*

1. მაგთის ბონუს შეკითხვა

ოლიმპიადაზე დასარეგისტრირებლად ეწვიეთ: <https://kings.ge/register>

თორნიკეს მშობლებმა შეიძინეს მაგთის ტელევიზიისა და ინტერნეტის პაკეტი და საჩუქრად მიიღეს უფასო ზარები მაგთის ნომრებზე ოჯახის წევრებს შორის. სულ რამდენ ზარს განახორციელებენ ოჯახის წევრები, თუ სულ სამნი არიან და თითოეული მათგანი ყველა დანარჩენს თითოჯერ დაურევ

A. 6

B. 3

C. 9

2. ექვსი მომდევნო ნატურალური რიცხვის ჯამი აუცილებლად არის?

A. კენტი

B. ლუწი

C. 5-ის ჯერადი

3. გიორგი და ლუკა მატარებლით მგზავრობენ. გიორგის უკან 14 ვაგონია და ერთ-ერთ მათგანში ლუკა ზის. ლუკას წინ კი 12 ვაგონია და ერთ-ერთ მათგანში გიორგი ზის. ლუკასა და გიორგის შორის 6 ვაგონია. სულ რამდენი ვაგონისაგან შედგება მატარებელი?

A.18

B.22

C.20